ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გია ტაბლიაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

ანა ლორია - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ადვოკატი ნ. თ. /სიითი№..../

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 18.04.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №043/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ გ. მ.-ის მიმართ /სიითი №..../

საჩივრის ავტორის მოთხოვნა: ადვოკატ გ. მ.-ისათვის „ადვოკატთა პროფესიული პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 18 აპრილს ადვოკატმა ნ. თ.-მ საჩივრით მომართა ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ გ. მ.-ისათვის „ადვოკატთა პროფესიული პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, იგი, 2017 წლის 19 ოქტომბრიდან, სავალდებულო წესით იცავს ერთ-ერთი ბრალდებულის - ზ. ხ.-ის ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეზე. ამ საქმეში 2018 წლის 09 მარტის სხდომაზე, ადვოკატმა გ. მ.-მა, რომელიც იცავს აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში სხვა ბრალდებულის ინტერესებს, ასევე სავალდებულო წესით, დააყენა შუამდგომლობა თვითაცილების შესახებ იმ მოტივით, რომ იგი აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში სავალდებულო წესით ჩართული იყო იმ მიზეზით, რომ მხარეებს შორის უნდა გაფორმებულიყო საპროცესო შეთანხმება და რადგან მხარეებს შორის არ ფორმდებოდა

მოცემული შეთანხმება, იგი უნდა ჩამოსცილებოდა საქმეს, რათა ტყუილად არ გაფლანგულიყო სახელმწიფოს რესურსი.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, მოცემულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით, საქმის განმხილველმა მოსამართლემ, მ. ქ.-მა, მიმართა სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე სხვა ადვოკატებს, მათ შორის საჩივრის ავტორს საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად. საჩივრის ავტორის განმარტებით ის, ისევე როგორც საქმეში ჩართული ადვოკატების უმეტესობა, არ დაეთანხმა ადვოკატ გ. მ.-ის შუამდგომლობას.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, მოტივი, რატომაც არ დაეთანხმა ადვოკატის შუამდგომლობას იყო ის, რომ იგი მოქმედებდა მისი კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. კერძოდ, მხარეებს შორის ნამდვილად ფორმდებოდა საპროცესო შეთანხმება, რაც პროცესის დროს დაადასტურა ბრალდების მხარემ. ასევე იმ შემთხვევაში, თუ იგი დათანხმდებოდა ადვოკატ გ. მ.-ის შუამდგომლობას თვითაცილების შესახებ, მაშინ მას თავადაც იგივე შუამდგომლობა უნდა დაეყენებინა, იქიდან გამომდინარე, რომ თავადაც სავალდებულო წესით იყო ჩართული მოცემულ საქმეში იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც იყო საქმეში ჩართული ადვოკატი გ. მ.. შესაბამისად, საჩივრის ავტორის განმარტებით,მოცემული შუამდგომლობის დაკმაყოფილება გამოიწვევდა საქმის გაჭიანურებას მისი კლიენტის ინტერესების საზიანოდ, რადგან საჭირო გახდებოდა მის ნაცვლად საქმეში ახალი ადვოკატის ჩართვა, რომელსაც გარკვეული დრო დასჭირდებოდა საქმის მასალების გასაცნობად.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, პროცესის მსვლელობის დროს სიტუაცია დაიძაბა, რადგან ადვოკატი გ. მ. იმ კოლეგებს, რომლებმაც არ დაუჭირეს მხარი მის მიერ დაყენებულ შუამდგომლობას, არ აცდიდა საუბარს და სთხოვდა მათ ახსნა-განმარტების გაკეთებას. ასეთი ქცევის გამო ადვოკატმა გ. მ.-მა მიიღო შენიშვნები, როგორც ბრალდების, ასევე სასამართლოს მხრიდან.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, მოცემული ინციდენტის შემდეგ, 2018 წლის 30 მარტს იგი იმყოფებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოში, მთავარ შენობაში, რა დროსაც მასთან მივიდა ადვოკატი გ. მ. და ხმამაღალი ტონით, ყვირილით იქ მყოფი საზოგადოების თვალწინ მას რამდენიმეჯერ უწოდა „ოროსანი ადვოკატი“ და ითხოვდა საჩივრის ავტორისაგან აეხსნა, თუ რატომ არ დაუჭირა მხარი მის შუამდგომლობას თვითაცილების შესახებ.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან რამდენიმეჯერ მოუწოდა ადვოკატ გ. მ.-ს კორექტულობისაკენ და შესთავაზა მას, რომ მშვიდ ვითარებაში ესაუბრათ მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, რამაც გამოიწვია ადვოკატის უფრო მეტად გაღიზიანება. კერძოდ, ადვოკატ ნ. თ.-ს განმარტებით, ადვოკატმა გ. მ.-მა ხელი ააფარა კარს და არ მისცა საჩივრის ავტორს სასამართლოდან გასვლის საშუალება, ეს გაგრძელდა რამდენიმე წამის განმავლობაში და საჩივრის ავტორი იყო იმდენად შეურაცხყოფილი, რომ ვერ დააფიქსირა იმ მანდატურის ვინაობა, რომელიც შეესწრო ინციდენტს.

1.8 საჩივრის ავტორის განცხადებით, მოცემული ინციდენტის შემდეგ იგი მაშინვე დაუკავშირდა მის უშუალო ხელმძღვანელს, იურიდიული დახმარების სამსახურის უფროსს - ს. კ.-ს და

მოახსენა აღნიშნული ფაქტის შესახებ, რაზედაც ს. კ.-მ უპასუხა, რომ კონკრეტული ინციდენტი ნამდვილად არაეთიკური იყო, თუმცა მისი განხილვა იურიდიული დახმარების სამსახურის კომპეტენციაში არ შედიოდა.

1.9 საჩივრის ავტორმა ასევე მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს განცხადებით, სადაც შედგა გასაუბრების ოქმი. სამართალდამცავ ორგანოებში იგი მივიდა იმ მოტივით, რომ მომხდარიყო ადვოკატ გ. მ.-ის პოლიციის განყოფილებაში დაბარება, რათა მას დაედასტურებინა აღნიშნულ ინციდენტში მომხდარი ფაქტები. ადვოკატმა ზ. მ.-მა უარი განაცხადა სამართალდამცავ ორგანოებში გამოცხადებაზე იმ მიზეზით, რომ იგი თავს დამნაშავედ არ ცნობდა და აცხადებდა, რომ აღნიშნული გარემოებები არ წარმოადგენდა სიმართლეს.

1.10 საჩივრის ავტორმა 2018 წლის 02 აპრილს განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს სათვალთვალო კამერებიდან ვიდეო ჩანაწერის ამოღების შესახებ, რაზეც სასამართლოს ადმინისტრაციის შეცდომის გამო გვიან მიიღო მის მიერ წარდგენილ განცხადებაზე პასუხი და იმის გამო, რომ სათვალთვალო ვიდეო კამერების ჩანაწერები 2 კვირის განმავლობაში ინახება, შემდეგ კი იშლება, საჩივრის ავტორმა ვერ მიიღო გამოთხოვილი ინფორმაცია.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა გ. მ.-მა 2018 წლის 10 მაისს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ იგი არ ეთანხმება საჩივრის ავტორის პოზიციას და განაცხადა რომ მისი მხრიდან რაიმე სახის არაეთიკურ ქცევას ადგილი არ ჰქონია.

2.2 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორს უფლება არ ჰქონდა მასსა და მის კლიენტს შორის არსებულ ურთიერთობაში ჩარეულიყო და განეცხადებინა, რომ მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების შესახებ მიღწეული იყო მისი დაცვის ქვეშ მყოფსა და ბრალდების მხარეს შორის, მაშინ, როდესაც ბრალდება მისი შუამდგომლობის მოსმენის შემდეგ ჰიპოთეტურად აცხადებდა, რომ მოლაპარაკება შეიძლება მიმდინარეობდეს ბრალდებულსა და პროკურორს შორის. ბრალდება აღნიშნულ განცხადებას ვერ ასაბუთებდა ვერანაირი საბუთით, ამასთან პროკურორი სხდომის მიღმა ადვოკატსა და მისი დაცვის ქვეშ მყოფს ეუბნებოდა, რომ - ზარალის ანაზღაურების გარეშე საპროცესო შეთანხმება ვერც ერთ შემთხვევაში ვერ მიიღწეოდა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, იგი საქმეში ჩართული იყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტის საფუძველზე, შესაბამისად, რადგან სუბიექტური ფაქტორებიდან გამომდინარე გამორიცხული იყო, რომ ბრალდებულები ზარალს აანაზღაურებდნენ, არსებობდა დიდი ალბათობა იმისა, რომ დადგებოდა გამამტყუნებელი განაჩენი და ბრალდებულებს პირდაპირ დარბაზიდან აიყვანდნენ ჯგუფური, მძიმე დანაშაულის ჩადენის გამო. შესაბამისად, ადვოკატის განმარტებით, ვინაიდან საპროცესო გარიგება ვერ შედგებოდა მისი დაცვის ქვეშ მყოფ ბრალდებულსა და ბრალდების მხარეს შორის, სწორედ ამის გამო დააყენა ადვოკატმა გ. მ.-მა შუამდგომლობა თვითაცილების შესახებ.

2.4 ადვოკატის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფმა განაცხადა თანხმობა მოცემულ შუამდგომლობაზე, მოსამართლემ მაინც არ დააკმაყოფილა იგი. თუმცა გ. მ.-ის განმარტებით, მას ამის გამო არანაირი პროტესტი არ გამოუთქვამს.

2.5 ადვოკატმა განმარტა, რომ აღნიშნული სხდომის შემდეგ, 2018 წლის 30 მარტს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ტერიტორიაზე, საჩივრის ავტორი ტელეფონზე საუბრობდა ხმამაღლა, რა დროსაც ადვოკატი გ. მ. მიესალმა მას, რაზეც საჩივრის ავტორმა არ უპასუხა. შემდეგ ადვოკატმა ჰკითხა მას, რამით ხომ არ შეეძლო მისი დახმარება, რაზეც საჩივრის ავტორმა ხმამაღალი ტონით უპასუხა, რომ „ამ წუთში ხმა ჩაეწყვიტა“, „არ გაბედო და სიტყვა არ შემომიბრუნოო“, ასევე დაადანაშაულა იგი რეესტრის სხვა ადვოკატების, კ.-ის და სხვების დახმარებაში, ასევე უთხრა ფრაზა - „შენ ალბათ არ გინახავს გურული ქალის სამართალიო“, „ნ. მქვია და კატეგორიულად გიკრძალავ ნ.-ს და ნ.-ს დაძახებასო“. ადვოკატის განმარტებით იგი გაემართა გასასვლელისაკენ და შესთავაზა საჩივრის ავტორს შენობის გარეთ საუბრის გაგრძელება, რის შემდეგაც ნ. თ. უკან გაყვა მას და თავად ააფარა კარებს ხელი, რის შემდეგაც გ. მ.-მა უკან დაიხია მანდატურების ადგილისაკენ. საჩივრის ავტორმა ადვოკატს მიაძახა, რომ „გეშინია რომ არ გამოგაჭენონო“ და ასევე თქვა - „რატომ მეძახით ყველა ოროსანსო“.

2.6 ადვოკატის განცხადებით, სიცრუეა საჩივრის ავტორის განცხადება იმასთან მიმართებაში, რომ თითქოს პოლიციამ უთხრა მას, რომ ადვოკატი პოლიციაში იმიტომ არ ცხადდებოდა, რომ მას არ უნდოდა დანაშაულის აღიარება. ადვოკატმა განმარტა, რომ ვინაიდან პოლიციის თანამშრომელმა სატელეფონო საუბარში დაუდასტურა ის ფაქტი, რომ ნ. თ.-ს განცხადებაში დანაშაულის ნიშნების შემცველი ინფორმაცია არ იყო, გამოძიება ვერ დაიწყებოდა.

2.7 ადვოკატის განმარტებით, ამის პარალელურად, საჩივრის ავტორი შემდეგი შინაარსის სატელეფონო შეტყობინებებს უგზავნიდა მას: „მარტო პოლიციაში კი არა, ყურით ბევრ ადგილზე მოგიწევს მისვლა“, „მე ერთ-ერთი ყველაზე უმწიკვლო ადვოკატი ვარ“, „აღიარე, აღიარე დანაშაული გერჩივნოსო“, ასევე ადვოკატმა განაცხადა, რომ სატელეფონო შეტყობინებების სახით საჩივრის ავტორი მას უწოდებდა - „ადვოკატთა ასოციაციის სამარცხვინო შავ ლაქას“.

2.8 ადვოკატის განცხადებით, ნ. თ.-ს საჩივრის მიზანი არ ემსახურება მისი მხრიდან ეთიკის ნორმების შესაძლო დარღვევის პრევენციას, საჩივრის ავტორის მიზანია მოახდინოს რაიმე სახით ადვოკატ გ. მ.-ის დისკრედიტაცია.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი გ. მ. არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი№..../ სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი. ადვოკატის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე არ არის გარიცხული სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან“.

3.2 ადვოკატმა ნ. თ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 18 აპრილს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2018 წლის მარტის თვეში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ გ. მ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა პროფესიული პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ გ. მ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.1.1 „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-7 მუხლი: „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები“.

5.1.2 „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-10 მუხლის პირველი ნაწილი: „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას“.

5.2 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კოლეგიალურობის პრინციპი პროფესიის კორპორატიული არსიდან გამომდინარე. ადვოკატის მიერ კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება გულისხმობს კოლეგებისადმი ღირსეული დამოკიდებულების შენარჩუნებას და პატივისცემას, არა მხოლოდ პროფესიული საქმიანობის განხორციელების ეტაპზე, არამედ ზოგადად, როგორც ადვოკატებს შორის ურთიერთობისას, ასევე კლიენტებთან და სხვა მესამე პირებთან პროფესიული თუ ყოფითი ურთიერთობებისას. აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს ადვოკატთა კორპორატიული ერთობის და მათი საერთო კორპორატიული ინტერესებიდან იზრუნონ ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისათვის, რაც მოიცავს ადვოკატის ვალდებულებას შეინარჩუნოს და დაიცვას პროფესიული ღირსება და პატივი სცეს თავის საქმიანობას.

5.3 საპროცესო კოლეგია მხარეთა პოზიციებზე დაყრდნობით დადგენილ ფაქტად მიიჩნევს, რომ 2018 წლის 30 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოში ერთმანეთს შეხვდნენ საჩივრის ავტორი ნ. თ. და ადვოკატი გ. მ.. საჩივრის ავტორის პოზიციის თანახმად, ადვოკატმა გ. მ.-მა იქ მყოფი საზოგადოების თვალწინ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა - არაერთხელ უწოდა ,,ოროსანი ადვოკატი“ და გასასვლელ კარზე ხელის აფარებით არ აძლევდა მას შენობის დატოვების საშუალებას. ადვოკატი გ. მ. მის მიერ წარმოდგენილ პოზიციაში საერთოდ უარყოფს მის მიერ ზემოთ მოცემული ქმედებების განხორციელების ფაქტს და პირიქით, საჩივრის ავტორს ადანაშაულებს მისი მისამართით შეურაცხმყოფელი ფრაზების გამოყენებაში იქ დამსწრე საზოგადოების წინაშე.

5.4 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-16 მუხლის მიხედვით „დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები, განაცხადონ აცილებები, წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით, მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე“, ხოლო ამავე დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები“. საპროცესო კოლეგია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მხარეთა პოზიციებიდან და მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე.

5.5 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორისათვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტის მტკიცების ტვირთი აკისრია საჩივრის ავტორს - ნ. თ.-ს. გამომდინარე იქიდან, რომ ადვოკატი გ. მ. მის მიერ საჩივრის ავტორისათვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს უარყოფს, საპროცესო კოლეგიისათვის დასაბუთებული ვარაუდისათვის საკმარისი საფუძვლის შესაქმნელად, საჩივრის ავტორს წერილობითი და ზეპირი ახსნა-განმარტების გარდა არ წარმოუდგენია სხვა სახის მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ადვოკატ გ. მ.-ის მიერ მისთვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს. შესაბამისად ადვოკატ გ. მ.-ის მიერ „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-7 და მე-10 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევის ფაქტი არ დასტურდება.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-7 მუხლითა და მე-10 მუხლის პირველი ნაწილით; „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე და 33-ე მუხლებით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით, მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №043/18 ადვოკატ გ. მ.-ის მიმართ /სიითი№..../ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე /გია ტაბლიაშვილი/

კოლეგიის წევრი /ანა ხურციძე/

კოლეგიის წევრი /ანა ლორია/